ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომა

07 თებერვალი, 2006 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №4/8, ბ. №6

სხდომის დაწყების დრო: 19:10სთ.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:
კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), რუსუდან პიტავა, დავით ასათიანი, ზაზა ხატიაშვილი, როინ მიგრიაული, ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, ზურაბ ტაბიძე

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ნომუშის დამტკიცება;
2. ასოციაციის სიმბოლიკის დამტკიცება;
3. ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგის, სახელფასო ფონდისა და ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება;
4. ადვოკატთა მიერ ფიცის დადების წესისა და ორგანიზების ფორმის დამტკიცება;
5. საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა არჩევა;
6. საკვალიფიკაციო კომისიის დებულების შემუშავებაზე პასუხისმგებელი აღმასრულებელი საბჭოს წევრთა განსაზღვრა;

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გაიხსნა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხით. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ასოციაციის სიმბოლიკისა და ასევე, ადვოკატის მოწმობის ნიმუშის თაობაზე. გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება.

დადებითად შეფასდა სხდომაზე წარმოდგენილი საშტატო განრიგი;

განხილულ იქნა გასაწევრიანებელ პირთა განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია. შემოწმდა აღნიშნული მასალების შესაბამისობა საქართველოს კანონთან „ადვოკატთა შესახებ".

საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა არჩევა განხორციელდება საკვალიფიკაციო კომისიის დებულების დამტკიცების შემდეგ, დებულებით გათვალისწინებული წესისა და პირობების დაცვით;

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1. სხდომაზე წარმოდგენილი ასოციაციის სიმბოლიკის შემდგომი დამუშავებისთვისა და აღმასრულებელი საბჭოს წევრების შენიშვნების გათვალისწინებისთვის შესაბამისი დიზაინერული კომპანიისათვის გადაცემა.

2. მოწმობის ნიმუშის საბოლოო ვარიანტის, აღმასრულებელი საბჭოს მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენა;

3. დამტკიცდა აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგი, სახელფასო ფონდი და ორგანიზაციული სტრუქტურა;

4. ასოციაციაში გაწევრიანების მსურველთათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ "ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-10 მუხლის სხვა მოთხოვნებს, ფიცის დადების ორგანიზებისათვის, შერჩეულ იქნა ყოველი მომდევნო თვის ბოლო კვირის ოთხშაბათს მოწვეული აღმასრულებელი საბჭოს სხდომა, რომელზეც გაწევრიანების მსურველები საბჭოს წინაშე წარმოსთქვამენ ფიცს და ხელს მოაწერენ ფიცის ტექსტს. სხდომის ზუსტი დრო და ადგილი ასოციაციის აპარატის მიერ ეცნობება თითოეულ გასაწევრიანებელ პირს.

5. საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა არჩევა გადაიდო საკვალიფიკაციო კომისიის დებულების დამტკიცებამდე.

6. ასოციაციის თავმჯდომარეს დაევალა, რომ აღმასრულებელი საბჭოს სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინოს საკვალიფიკაციო კომისიის დებულების პროექტი.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, ღია კენჭისყრით.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ: კ. ასლანიშვილი, დ. ასათიანი, ზ. კორძაძე, რ. მიგრიაული, გ. სვანიძე, ზ. ტაბიძე, რ. პიტავა, ზ. ხატიაშვილი

კახაბერ ასლანიშვილი
თავმჯდომარე